ლელა ქისტაური

ბაბუა ნვეული

კლასი III
კითხვის დონე – 3.1
ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

მხატვარი – **ია გიგოლაშვილი**

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას, ნუგზარ არჩემაშვილს და ელისო რეხვიაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნების მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

მინდორში ცხოვრობდა პატარა ბაბუაწვერა. ბაბუაწვერა ძალიან მოუსვენარი იყო. სულ თამაში უნდოდა! ხან პეპელას შეუღიტინებდა, ხან ბზიკებს აბრაზებდა. მაგრამ ბოლოს ისინი სადღაც მიფრინავდნენ. პატარა ბაბუაწვერა სულ მარტო რჩებოდა.



ერთ დღეს ბაბუაწვერამ გადაწყვიტა, ფრენა ესწავლა და მეგობრებთან გაფრენილიყო. მაგრამ ფესვებით მიწაზე იყო დაბმული და არ იცოდა, რა ექნა. ამ დროს ბზიკი მოფრინდა.

— გამარჯობა, ბაბუაწვერა! რაზე მოგიწყენია? — ჰკითხა ბზიკმა.

— ფრენა მინდა და არ გამომდის. მითხარი, როგორ დაფრინავ? — ჰკითხა ბაბუაწვერამ.

— ფრენას რა უნდა? ფრთები უნდა იქნიო და თან იბზუილო! აი, ასე: ბზზზზზზზზზზზზზზ! — აზუზუნდა ბზიკი.

ბაბუაწვერამ სცადა, მაგრამ ვერ გაფრინდა. მას ხომ ფრთები არ ჰქონდა? არც ბზუილი შეეძლო. თან მიწაზე იყო დაბმული.

ცოტა ხანში პეპელა გამოჩნდა. ყვავილიდან ყვავილზე დაფრინავდა და ტკბილ წვენს წუწნიდა. პეპელამ მოწყენილი ბაბუაწვერა დაინახა და ჰკითხა:

— ბაბუაწვერა, ვინ გაწყენინა?

— არავინ. ფრენა მინდა და არ გამომდის. შეგიძლია მითხრა, როგორ გავფრინდე?

— ფრენაზე ადვილი რა არის? ფრთები გაშალე და გაფრინდები. მაგრამ შენ რომ ფრთები არ გაქვს?

ბაბუაწვერას ვერც პეპელა დაეხმარა.

ამ დროს ფოთოლმა ჩამოიფრინა და მის გვერდით ბალახზე დაეცა.

— შენ რა, დაფრინავ? — გაუკვირდა ბაბუაწვერას. — მეც მასწავლე, როგორ გავფრინდე.

— ქარს უნდა დაელოდო. მოვა და თვითონ გაგაფრენს, — უთხრა ფოთოლმა.

ამის მერე ბაბუაწვერა ელოდა და ელოდა ქარს. მაგრამ ქარი არა და არ ჩანდა. ქარის გარეშე ბაბუაწვერამ კიდევ ბევრჯერ სცადა გაფრენა. მაინც არაფერი გამოუვიდა.

ერთხელაც მხიარული შეძახილი გაისმა:

— დედა, შეხედე, ბაბუაწვერა!

ბაბუაწვერამ მისკენ მომავალი ქალი და ბავშვი დაინახა.

შეეშინდა ბაბუაწვერას. მას აქამდე ასე ახლოდან არასდროს ენახა ადამიანები. ადრე დედა უამბობდა, რომ ისინი ზოგჯერ უხეშად იქცევიან, ყვავილს მოგაწყვეტენ, ფეხს დაგადგამენ, ფოთლებს დაგაწიწკნიან... ახლა კი ადამიანები პირდაპირ მისკენ მოდიოდნენ!

— დედა, მოვწყვიტო? — იკითხა ბავშვმა.

— არა, ცოდოა, არ მოწყვიტო. თუ გინდა, სული შეუბერე, თან სურვილი ჩაიფიქრე, — უთხრა დედამ.

ბავშვი ბაბუაწვერას მიუახლოვდა. ბაბუაწვერამ შიშისგან თვალები დახუჭა. უცებ თითქოს თბილი ქარი ამოვარდა. იგრძნო, რომ ადგილს მოსწყდა და ჰაერში აფარფატდა. ცოტა ხანს ბავშვს ეთამაშა, სახეზე მოუღიტინა. მერე კი მინდორში მეგობრების საძებნელად გაფრინდა.



პატარა ბაბუაწვერა ძალიან, ძალიან ბედნიერი იყო.